ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01262684073**
თარიღი: **25/09/2026**

ადრესატი: ზაზა ბასილაძე
პირადი ნომერი: 41001006464
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვარკეთილი-3-ის დასახლება, II მიკრო/რაიონი, კორპუსი 4, ბინა 68

თქვენი 10.09.2026წ. N0126239769-17 განცხადების პასუხად დამატებით გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის N31 მაისის N255 დადგენილების შესაბამისად მუნიციპალურ ინსპექციაში წარმოდგენილია ქ. თბილისში, თენგიზ ჩანტლაძის ჩიხი N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N01.19.16.002.230) მიმდინარე მშენებლობის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 15.05.2024წ. N7025209 ბრძანებით განსაზღვრული I-II ეტაპების და 27.05.2025წ. N7489133 ბრძანებით განსაზღვრული III ეტაპის დასრულების შესახებ შედგენილი საეტაპო ოქმები.

დამატებით გაცნობებთ, რომ დარღვეულია სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 27.05.2025წ. N7489133 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის IV და V ეტაპებით გათვალისწინებული სამუშაოები. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს ,,ორხევი-96“-ს მიმართ 2026 წლის 25 სექტემბერს მუნიციპალური ინსპექციის მიერ გაცემული იქნა N007108 და N007109 მითითებები. ასევე, ტექნიკური რეგლამენტის „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ დამტკიცების თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილების შესაბამისად შპს ,,ორხევი-96“-ს მიმართ 2026 წლის 25 სექტემბერს მუნიციპალური ინსპექციის მიერ გაცემული იქნა N007110 მითითება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დარღვევების გათვალისწინებით პროექტის კორექტირების (მშენებლობის ნებართვის გაცემის) შემდგომ, აღნიშნულ ეტაპებზე წარმოგვიდგინეთ აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოს მიერ გაცემული დადებითი დასკვნა.

ჯონდო მაჭარაშვილი

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი